ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის  დავით რურუას

2021 წლის ანგარიში

2017 წლის  ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველების" წევრი,  საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრი.

**საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის  მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 22 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 111 დადგენილება  და 547 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 20 სხდომის მუშაობაში.

**საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 13 სხდომის მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.**

შესწავლილი საკითხები:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; **2.** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; **3.** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**4.** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; **5.** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 – 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;

- ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ში, კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ გახსნითი სამუშაოების, მიმდინარე სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა-გასვლითი სხდომა;

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" ინფორმაცია;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; **2.** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ;

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საფუძველი: 03.09.2021; N12-032124639-03); **2.**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

**მონაწილეობა მივიღე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ორგანიზებული 20 სხდომისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული 60 საკითხის გადაწყვეტის მუშაობის პროცესში, მათ შორის:**

- სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ პროექტი.

- საკრებულო სატრანსპორტო კომისიის სხდომაზე მოხსენება სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ.

- გაეროს საგზაო უსაფრთხოების გლობალურ კვირეული, რომელიც მიზნად გზებზე სიჩქარის ლიმიტის კონტროლის გაძლიერებისა და სიჩქარის ლიმიტის შემცირებისკენ მოწოდებას ისახავს.

- საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის 4-წლიან მასშტაბურ პროექტი,რომელსაც საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია შეუერთდა. პროექტის Fia Rally Star-ი მიზანი, მსოფლიოს გარშემო ახალგაზრდა ავტოსპორტის მოყვარული ადამიანების აღმოჩენა და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საავტომობილო დისციპლინის "რალი"- ს სუპერვარსკვლავებად ჩამოყალიბებაა. პროექტში მონაწილე 140-ზე მეტი ქვეყნიდან სწორედ საქართველო იქნება ის პირველი, რომელიც მას გახსნის.საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, ორი თვის განმავლობაში სამი შესარჩევი (თბილისში, თელავსა და ქუთაისში) და ერთიც ფინალური (დედაქალაქში) ეტაპის გამართვა.

- თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) წესში ცვლილების შეტანა, კერძოდ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსში მგზავრთა მომსახურებისას დაშვებული არ იქნება ფეხზე მდგომი მგზავრ(ებ)ის გადაყვანა.

- ავტობუსის გაჩერებების მდებარეობის შეცვლა, ნაწილი უქმდება, გარკვეულ მისამართებზე კი ახალი გაჩერებები დაწესდება. სიახლე ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ომარ ხიზანიშვილის და ილია ვეკუას ქუჩებზე განხორციელებული მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე განისაზღვრა.

- საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფის (ერთი მიმართულებით 1,0 ლარი) დამტკიცება, მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სიტემის დამტკიცება და სტუდენტებისთვის უფასო მგზავრობის უფლების მინიჭება

- მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების გაცემის წესის, მოქმედების ვადის, გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, ასევე ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, მისი განახლებისა და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანა.წარმოდგენილი ცვლილებით, 2022 წლის პირველ იანვრამდე გადავადდა დადგენილების იმ ჩანაწერის მოქმედება, რომლის თანახმადაც, „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ M1 კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის, ტაქსის მძღოლის ტრანსპორტში საჭე მარცხნივ მდებარეობს.

- თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარუ-ლი სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყენარიყალა“ და საბაგიროთ „ჭავჭავაძის გამზირიკუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფები ს, აგრეთვე ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგე ნილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. ცვლილების თანახმად, „ჰერმესში“ დასაქმებულ 77 ტექნიკურ მუშაკს (მესაფლავეს) თბილისის მასშტა ბით სხვადასხვა სასაფლაოზე გადაადგილებისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპ ორტით უფასოდ მგზავრობის უფლება მიენიჭებათ.

**საანგარიშო პერიოდში დავესწარი ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 16 სხდომას.**

ფრაქციის სხდომების ფორმატში განვიხილეთ დედაქალაქის მოსახლეობისთვის პანდემიით გამოწვეული სოციალური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებები, ასევე საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები.